

პანდემიური გრიპის (H1N1) ვაქცინის წარმოება და ხელმისაწვდომობა

30 ოქტომბერი, 2009

სად მზადდება პანდემიური გრიპის ვაქცინები?

ზოგიერთი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოებმა გასცეს პანდემიური გრიპის ვაქცინის წარმოების ლიცენზია. ლიცენზირების პროცესის ხანგრძლივობა დამოკიდებულია რეგულირების მექანიზმზე თითოეულ ქვეყანაში, ვაქცინის ტიპზე და მწარმოებლების მზადყოფნაზე წარუდგინოს შესაბამისი ინფორმაცია საკანონმდებლო ორგანოებს.

როგორია პანდემიური ვაქცინის გლობალური წარმოების რესურსი?

WHO-ს გამოთვლით ოქტომბრისათვის, მსოფლიო მასშტაბით, პანდემიური გრიპის ვაქცინის წარმოება წელიწადში უნდა იყოს 3 მილიარდი დოზა, თუ შესაძლო სიმძლავრეები გადაერთვება პანდემიური ვაქცინის წარმოებაზე.

რა ტექნოლოგიები გამოიყენება პანდემიური გრიპის ვაქცინის დასამზადებელი ვირუსის გასაზრდელად?

ვაქცინების უმეტესობის წარმოება ხდება ქათმის კვერცხის გამოყენებით, ამასთან ზოგიერთი მწარმოებელი ვაქცინის დასამზადებლად იყენებს მცირე რაოდენობით უჯრედულ კულტურებს.

იქნება თუ არა პანდემიური ვაქცინა საკმარისი ყველასთვის?

პანდემიური გრიპის ვაქცინის წარმოება გრძელდება, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში მოთხოვნა აღემატება მარაგს, სავარაუდოდ დროთა განმავლობაში უფრო მეტი ვაქცინა იქნება ხელმისაწვდომი.

ვის მიენიჭება პრიორიტეტი ვაქცინაციის დროს?

WHO-ს რეკომენდაციით ვაქცინაციის დროს პრიორიტეტი ენიჭება ჯანდაცვის მუშაკებს, რათა დაიცვან საკუთარი თავი და პაციენტები და შეინარჩუნონ ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირება პანდემიის დროს.

მეორე პრიორიტეტულ ჯგუფს მიეკუთვნება მძიმე დაავადების რისკის ქვეშ მყოფნი. სახელმწიფო ორგანოებმა უნდა შექმნან ვაქცინაციის გეგმები ქვეყნის სიტუაციიდან გამომდინარე.

სხვა ჯგუფები მოიცავს: ორსულებს; 6 თვეზე მეტი ასაკის პირებს, რომელთაც აქვთ რომელიმე ქრონიკული დაავადება; ჯანმრთელ მოსახლეობას 15-49 წლის ასაკში; ჯანმრთელ ბავშვებს; ჯანმრთელ მოსახლეობას 50-64 წლის ასაკში; ჯანმრთელ მოსახლეობას 65+ წლის ასაკში.

იქნება თუ არა პანდემიური გრიპის ვაქცინა ხელმისაწვდომი განვითარებადი ქვეყნებისთვის? რას აკეთებს WHO დასახმარებლად?

WHO-ს გენერალური დირექტორი მიმართავს საერთაშორისო სოლიდარობას, რათა ყველა ქვეყნისთვის თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი პანდემიური გრიპის ვაქცინა. WHO-მ უზრუნველყო ვაქცინების დონაცია (დაახლოებით 200 მილიონი დოზა) 95 დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებისთვის. WHO-ს მიზანია მოამარაგოს ეს 95 ქვეყანა საკმარისი რაოდენობის ვაქცინით, რათა აიცრას მოსახლეობის სულ მცირე 10% მაინც. აღნიშნულ ქვეყნებში ვაქცინის პირველი პარტიის გაშვება მოსალოდნელია 2009 წლის ნოემბრიდან 2010 წლის თებერვლამდე.

როგორ უნდა მიიღოთ ინფორმაცია ვაქცინაციის შესახებ?

ჯანდაცვის ეროვნული ორგანოები მიიღებენ გადაწყვეტილებას ვაქცინაციის კამპანიის ჩატარების შესახებ.

პანდემიური (H1N1) ვაქცინის გამოყენება

როგორი ფორმით იქნება ვაქცინა მოწოდებული?

ზოგიერთი ვაქცინა შეიცავს ინაქტივირებულ/დახოცილ ვირუსს. ასეთი ვაქცინები კეთდება მხარში ინექციით. ჩვილებსა და ბავშვებში უმჯობესია ბარძაყში ჩხვლეტა.

ვაქცინის მეორე ტიპი მზადდება ცოცხალი ვირუსისგან და მიიღება ნაზალური სპრეის სახით.

ორივე ვაქცინა იცავს პანდემიური გრიპისგან.

ვაქცინის ერთი დოზაა საჭირო თუ ორი?

იმუნიზაციის ექსპერტები რეკომენდაციას აძლევენ ვაქცინის ერთ დოზას 10 წელზე უფროსი ასაკის პირებში. იმ ქვეყნებში სადაც ბავშვები მიჩნეულია იმუნიზაციისთვის პრიორიტეტულ ჯგუფად, ექსპერტები ურჩევენ რაც შეიძლება მეტი ბავშვის აცრას ერთი დოზით, 6 წლის ზევით 10 წლამდე.

ვინ არ უნდა აიცრას ინაქტივირებული პანდემიური გრიპის ვაქცინით?

ინაქტივირებული ვაქცინით არ უნდა აიცრას:

- წარსულში ანაფილაქსიის ან მწვავე ალერგიული რეაქციის მქონე პირები;
- წინა გრიპის ვაქცინაზე მწვავე რეაქციის მქონე პირები;
- 6 წლამდე ასაკის ბავშვები;
- მწვავე, მაღალი ტემპერატურით მიმდინარე, დაავადების მქონე პირები (მათ უნდა მოიცადონ გამოჯანმრთელებამდე).

შეიძლება თუ არა პანდემიური გრიპის ვაქცინის მიღება ერთდროულად სხვა ვაქცინასთან ერთად?

პანდემიური გრიპის ვაქცინა შეიძლება გაკეთდეს სხვა ნებისმიერ ვაქცინასთან ერთად (მ.შ. სეზონური გრიპის) სხვადასხვა ადგილას.

იცავს თუ არა პანდემიური გრიპის ვაქცინა გრიპის სხვა ვირუსისგან, მ.შ. სეზონური გრიპისგან?

იქიდან გამომდინარე, რომ ეს ვაქცინა არ შეიცავს გრიპის სხვა ვირუსებს, იგი არ იცავს სეზონური გრიპისგან. აუცილებელია ორივე სახის გრიპზე ვაქცინაცია.

შეიძლება თუ არა გრიპით დაავადება გამოიწვიოს ვაქცინაციამ?

ინაქტივირებული ვაქცინები შეიცავენ დახოცილ ვირუსს ან მის ნაწილს, რაც არ იწვევს დაავადებას. გრიპის ცოცხალი ვაქცინა შეიცავს დასუსტებულ ვირუსს, რომელიც ასევე არ იწვევს დაავადებას.

ორივე ტიპის ვაქცინამ შეიძლება გამოიწვიოს გრიპის მსგავსი გვერდითი მოვლენები (მაგ. კუნთების ტკივილი, სიცხე), მაგრამ მსგავს შემთხვევაში სიმპტომები არის ნაკლებად გამოხატული და მცირე ხანგრძლივობის.

რატომ ავადდებიან გრიპით ის პირები, რომლებმაც ჩაიტარეს ვაქცინაცია?

არც ერთი ვაქცინა, მ.შ. პანდემიური გრიპის, არ იცავს 100%-ით. მაგრამ ისინი მნიშვნელოვნად ამცირებენ დაავადების რისკს. გრიპის ვაქცინები ეფექტურია ვაქცინაციიდან 14 დღის შემდეგ. ისინი, ვინც დაინფიცირდნენ ვაქცინაციამდე 1-3 დღით ადრე, ან იმუნიზაციიდან დროის მოკლე პერიოდში, შესაძლოა მაინც გახდნენ ავად.

აცრილი პირები შესაძლოა დაავადდნენ გრიპის ვირუსის სხვა შტამით, რისგანაც არ იცავს ეს ვაქცინა.